**gwp**

მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ 12733/09                                        D 30.12.2014

საქართველოს სახელმწიფო ქონების

ეროვნულ სააგენტოს

თქვენი, 2014 წლის 02 დეკემბრის N6/46561 წერილის პასუხად, რომლითაც ითხოვდით ჩვენი კომპანიის მოსაზრებას ხაზოვანი ნაგებობების შესახებ, ქ. თბილისში, თვალჭრელიძის ქუჩა N 6-ის მიმდებარედ არსებულ 9950.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (ს/კ01.19.19.002.062) მიწის ნაკვეთზე, გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპანიის წყალარინების დეპარტამენტის ინფორმაციით, ზემოხსენებული ტერიტორიაზე გაედინება დ=500მმ. საკანალიზაციო ქსელი. ტერიტორიის შემძენმა უნდა დაიცვას სამშენებლო ნორმებით დადგენილი პირობები, კერძოდ კი, სანიტარულ ზოლში ყოველგვარი შენობა-ნაგებობა საკანალიზაციო ქსელიდან უნდა იყოს დაშორებული 3.0 მეტრით ორივე მხრიდან, ამასთანავე, დაუშვებელია სანიტარული ზოლის შემოღობვა და მრავალწლიანი ნარგავების გაშენება, რომ ქსელზე შესაძლო დაზიანების შემთხვევაში, შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებმა სპეცტექნიკის გამოყენებით დაუბრკოლებლად ჩაატარონ საჭირო სამუშაოები. გათხრითი სამუშაოების ჩატარებამდე ადგილზე გაუწევს კონსულტაციას ჩვენი კომპანიის თანამშრომელი (გრიშა გაბუნია ტელ: 599-23-46-98).

ამასთანავე გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე გაედინება, ჩვენი კომპანიის ბალანსზე რიცხული დ=1000მმ. წყალსადენის ქსელი.

სამშენებლო ნორმების და წესების СНИР 2.04.02-84 თანახმად, სანიტარულ ზოლში, ნებისმიერი შენობა-ნაგებობის წითელი ხაზები წყალსადენიდან დაშორებული უნდა იყოს 10 მეტრით ორივე მხრიდან. წყალსადენის სანიტარული ზოლი ითვლება გაზრდილი რისკის ზონად, სადაც კატეგორიულად იკრძალება ნებისმიერი სახის მშენებლობა, შემოღობვა და მრავალწლიანი ნარგავების გაშენება. წყალსადენის დაზიანების შემთხვევაში, სანიტარულ ზოლში ან მის სიახლოვეს განთავსებულ შენობა-ნაგებობებს შესაძლოა მიადგეს ზიანი და[illegible]

შემოსვლის № 77105/04
"31" 12 2014
23 ფურცელი

შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი GEORGIAN WATER AND POWER LTD
მის: 0179 თბილისი, მ. კოსტავას 1 შესახვევი №33 ტელ: +995 (32) 293 11 11; ფაქსი: +995 (32) 298 26 07
ელ-ფოსტა: info@georgianwater.com www.georgianwater.com

შემთხვევაში მოსალოდნელია გამოიწვიოს უბედური შემთხვევაც, რაზეც ჩვენი კომპანია იხსნის პასუხისმგებლობას.

ქსელის ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენა შესაძლებელია უზრუნველყოს საპროექტო დეპარტამენტის ქსელების ინსტრუმენტალური დიაგნოსტიკის სამსახურმა ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, ჩვენი კომპანიის შესაბამისი სამსახურების ზედამხედველობით მოხდეს შურფირება.

ეკატერინე ბერიძე

კომუნიკაციისა და კორპორაციული

მომსახურების დირექტორი